საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების პრაქტიკა საქართველოს საჯარო დაწესებულებებში

2019

პროექტი ხორციელდება ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის ფარგლებში.

ანგარიშის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია IDFI და ის შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან/და EWMI-ს შეხედულებებს.

კვლევაზე მუშაობდნენ:

ლევან ავალიშვილი

გიორგი კლდიაშვილი

გოგა თუშურაშვილი

გამოქვეყნების თარიღი:

ივნისი, 2019

სარჩევი

ძირითადი მიგნებები 4

შესავალი 5

ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების შეფასების მეთოდოლოგია 6

ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების სტატისტიკა 9

ცენტრალური საჯარო დაწესებულებები 11

სამინისტროებს დაქვემდებარებული უწყებები 15

ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების პრაქტიკა 17

პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის ფორმატი და არქივი 20

ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების დინამიკა 21

ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების კარგი პრაქტიკა და რეკომენდაციები 26

ძირითადი მიგნებები

- მონიტორინგის ობიექტი 100 საჯარო დაწესებულებიდან, 2019 წლის მაისის მდგომარეობით 15-ს საერთოდ არ ჰქონდა საკუთარი ვებგვერდი ან ვებ-გვერდზე არ ჰქონდა შექმნილი საჯარო ინფორმაციის განყოფილება;

- 2019 წელს საჯარო ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის საშუალო მაჩვენებელი 53%-ია, რაც 18%-ით ჩამორჩება 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს;

- 2019 წელს, შესაბამისი სამართლებრივი აქტის მოთხოვნების დაცვით არც ერთ უწყებას არ ჰქონდა სრულყოფილად (100%-ით) გამოქვეყნებული ინფორმაცია;

- ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს შორის ყველაზე მაღალი (98%) შეფასება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრომ მიიღო, ყველაზე დაბალი კი - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ (39%);

- 2014 წელთან შედარებით, 13 ცენტრალური საჯარო დაწესებულებიდან 9-მ, გააუარესა ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მაჩვენებელი;

- საჯარო სამართლის იურიდიული პირების და საქვეუწყებო დაწესებულებების ინფორმაციის გამოქვეყნების საშუალო მაჩვენებელი 47%-ს შეადგენს , მაშინ როდესაც მათი ზემდგომი უწყებების (სამინისტროების) საშუალო მაჩვენებელი 76%-ია;

- სამინისტროების დაქვემდებარებაში არსებული უწყებების დაახლოებით 40%-ს, პროაქტიულად სავალდებულოდ გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის 30%-ზე ნაკლები ჰქონდა განთავსებული საკუთარ ვებგვერდზე;

- საჯარო დაწესებულებებისათვის ყველაზე პრობლემური საკითხი ფინანსების განკარგვასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნება იყო;

- არცერთ შეფასებულ საჯარო დაწესებულებას არ ჰქონდა გამოქვეყნებული ინფორმაცია ღია მონაცემების (CSV ან XML) სახით. 31 საჯარო დაწესებულებას კონკრეტული ფინანსური ინფორმაცია გამოქვეყნებული ჰქონდა Excel-ის ფორმატში;

- მხოლოდ 48 საჯარო დაწესებულების ვებგვერდზე იყო ხელმისაწვდომი განვლილ წლებში პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის არქივი.

შესავალი

საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება საქართველოს მიერ ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში აღებულ ვალდებულებათა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო. სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციების, შეხვედრებისა და მოლაპარაკებების ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისა (IDFI) და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური მხარდაჭერით, საქართველოს მთავრობამ 2013 წლის 26 აგვისტოს მიიღო №219 დადგენილება **„საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“.** დადგენილება ძალაში შევიდა 2013 წლის 1 სექტემბერს და მთავრობის მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო დაწესებულებებს დაევალათ „საჯარო ინფორმაციის“ ვებგვერდების შექმნა და მთავრობის დადგენილების დანართით გათვალისწინებული ინფორმაციის გამოქვეყნება საკუთარ ელექტრონულ რესურსებზე 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

მთავრობის დადგენილების დანართი მოიცავს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი იმ მინიმალური სავალდებულო ინფორმაციის ჩამონათვალს, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის და უზრუნველყოს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის, გეგმების, დაფინანსებისა და ხარჯთაღრიცხვის, სახელმწიფო შესყიდვებისა და ქონების პრივატიზაციის, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის პროაქტიულ გამჭვირვალობას. ადმინისტრაციული ორგანო აგრეთვე უფლებამოსილია, საკუთარი საქმიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში დამატებით, პროაქტიულად გამოაქვეყნოს საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი სხვა საჯარო ინფორმაცია.

დადგენილების კიდევ ერთ მნიშვნელოვან სიახლეს საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის წესი წარმოადგენდა. საჯარო დაწესებულებებს დაეკისრათ ვალდებულება შეექმნათ განცხადებათა მიღების ავტომატური დადასტურების სისტემები და 2013 წლის 1 სექტემბრიდან უზუნრველყოთ ელექტრონული განცხადებების რეგისტრაცია.

2014 წლის სექტემბერში, საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების სტანდარტის დამკვიდრებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ, IDFI-მ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით განახორციელა საქართველოს საჯარო დაწესებულებების ვებგვერდების მონიტორინგი, რომლის ფარგლებში შეისწავლა მათ მიერ ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების ხარისხი და არსებული პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე, შეიმუშავა რეკომენდაციები საჯარო დაწესებულებებისათვის.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია საქართველოში საჯარო ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის შეფასება 2019 წლის მაისის მდგომარეობით და მოცემულია ინფორმაციის

პროაქტიული ხელმისაწვდომობის ტენდეციები 2014 წელთან შედარებით. ანგარიში მოიცავს ასევე საჯარო დაწესებულებათა პროაქტიული გამჭვირვალობის რეიტინგებს.

ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების შეფასების მეთოდოლოგია

საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად კვარტალურად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია ქვეყნდება კვარტლის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო წლიურად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია წლის დასრულებიდან სამი თვის ვადაში. შესაბამისად, მონიტორინგის განხორციელების პერიოდში (2019 წლის მაისი) დაწესებულებებს საკუთარ ვებ-გვერდებზე, განთავსებული უნდა ჰქონოდათ :

- *ყოველწლიური ინფორმაცია* - **2018 წლის სრული მონაცემები**
- *კვარტალური ინფორმაცია* - **2018 წლის სრული და 2019 წლის I კვარტლის მონაცემები**
- *ინფორმაცია რომელიც განახლებას ექვემდებარება გარკვეული ცვლილების შემთხვევაში* - **უახლესი მონაცემები**

შეფასების მეთოდოლოგია სრულად ეფუძნება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ პროქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხას და აფასებს, თუ რამდენად სრულყოფილად პასუხობს საჯარო დაწესებულებათა მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია დადგენილებით გაწერილ ვალდებულებებს, როგორც შინაარსობრივი, ისე ზემოთ ჩამოთვლილი პერიოდულობის თვალსაზრისით. საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მაქსიმალურ შეფასებას წარმოადენს 100 ქულა (100%). საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული თითოეული ქვეპუნქტის მიხედვით მაქსიმალური შეფასებები გამოიყურება შემდეგნაირად:

შეფასების მეთოდოლოგია მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ნუსხის ქვეპუნქტების მიხედვით													
1		2		3		4		5		6		7	
N	ქულა	N	ქულა	N	ქულა	N	ქულა	N	ქულა	N	ქულა	N	ქულა
1.1	3	2.1	3	3.1	3	4.1	3	5.1	3	6.1	3	7.1	2
1.2	3	2.2	3	3.2	3	4.2	3	5.2	3	6.2	2	7.2	2
1.3	3	2.3	3	3.3	3	4.3	3	5.3	3				
1.4	3	2.4	3			4.4	3	5.4	3				
1.5	3	2.5	3					5.5	3				
1.6	3							5.6	3				
								5.7	3				
								5.8	3				
								5.9	3				
								5.10	3				
								5.11	3				
								5.12	4				
								5.13					

როგორც შეფასების ცხრილიდან ჩანს, საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული 35 ქვეპუნქტიდან 30-ის შემთხვევაში თითოეულის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 3 ქულას, ხოლო 5 ქვეპუნქტი განსხვავებული მაქსიმალური ქულათა რაოდენობით ფასდება. აღნიშნული ქვეპუნქტები შერჩეული იქნა შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

1) **ქვეპუნქტები 5.12 და 5.13 (ერთად 4 ქულა)** - 5.13 ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებს სამართლებრივ აქტებს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოყოფილი თანხების შესახებ, სრულად მოიცავს

5.12 ქვეპუნქტში გათვალისწინებულ ინფორმაციას (5.12 ქვეპუნქტი ითვალისწინებს აღნიშნული ფონდებიდან გამოყოფილი თანხების შესახებ ზოგად კვარტალურ ინფორმაციას). შესაბამისად ინსტიტუტის მიერ აღნიშნული პუნქტები ფასდება ერთობლივად. შეფასების დროს ინსტიტუტის მიერ პრიორიტეტად მიჩნეულია აღნიშნული თანხების გამოყოფის შესახებ სამართლებრივი აქტების განთავსება.

2) **ქვეპუნქტი 6.2 – (2 ქულა)**- მოცემული ქვეპუნქტი ითვალისწინებს იმ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოქვეყნებას, რომლებიც ადმინისტრაციული ორგანოს შეფასებით, საზოგადოებრივი ინტერესის შემცველია. ვინაიდან შემფასებელს არ შეუძლია განსაზღვროს, რომელ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს მიიჩნევს კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანო საზოგადოებრივი ინტერესის შემცვლელად, აღნიშნული ქვეპუნქტის მიხედვით განთავსებული ინფორმაცია ფასდება მხოლოდ მაქსიმალური 2 ქულით.

3) **ქვეპუნქტები 7.1 და 7.2** (თითოეულს 2 ქულა) - ამ ქვეპუნქტებით განსაზღვრულია საჯარო დაწესებულებათა სერვისების, მოსაკრებლების, ტარიფებისა და საფასურების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება. ვინაიდან დაწესებულებათა დიდი ნაწილი მომხმარებლებს არ სთავაზობს რაიმე სახის სერვისს და შესაბამისად არ აქვთ დადგენილი რაიმე სახის ტარიფები, მოსაკრებლები და საფასურები (გარდა საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული მოსაკრებლებისა, რომლის შესახებ ინფორმაციის განთავსება ისედაც სავალდებულოა საჯარო ინფორმაციის გვერდზე) ინსტიტუტის მიერ თითოეულის შესახებ ინფორმაციის განთავსება ფასდება მხოლოდ მაქსიმალური 2 ქულით.

მონიტორინგის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის სისტემაში შემავალი უწყებების გარდა, ასევე შეფასდა საქართველოს პარლამენტი და პრეზიდენტის ადმინისტრაცია. კერძოდ, საქართველოს პარლამენტი შეფასდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2013 წლის 31 დეკემბრის N132 ბრძანების, ხოლო პრეზიდენტის ადმინისტრაცია - საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 2 სექტემბრის N692 ბრძანებულებით განსაზღვრული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის თითოეული პუნქტის მიხედვით.

ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების სტატისტიკა

2019 წლის მაისში IDFI-მ შეისწავლა საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების პრაქტიკა 100 საჯარო დაწესებულებაში და ამ მიზნით განახორციელა შემდეგ უწყებათა ვებ-გვერდების დეტალური მონიტორი:

- **საქართველოს პარლამენტი**
- **საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია**
- **საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია**
- **11 - სამინისტრო/სახელმწიფო მინისტრის აპარატი**
- **86 - სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ და საქვეუწყებო დაწესებულება**

მონიტორინგის ობიექტი 100 საჯარო დაწესებულებიდან, 8 უწყებას საერთოდ არ ჰქონდა საკუთარი ვებგვერდი, ხოლო 6 უწყების შემთხვევაში ვებგვერდზე არ იყო შექმნილი საჯარო ინფორმაციის განყოფილება. ერთ უწყებას, არ გააჩნდა საკუთარი ვებგვერდი, თუმცა საჯარო ინფორმაციის განყოფილება შექმნილი იყო მისი ზემდგომი უწყების ელექტრონულ რესურსზე. დანარჩენი 85 საჯარო დაწესებულების ვებგვერდზე შექმნილი იყო საჯარო ინფორმაციის განყოფილება და პროაქტიულად იყო გამოქვეყნებული ინფორმაცია.



იმ უწყებებს შორის, რომლებსაც მონიტორინგის პერიოდში არ ჰქონდათ ვებგვერდი ან ვებგვერდზე არ ჰქონდათ შექმნილი საჯარო ინფორმაციის განყოფილება, ყველა მიეკუთვნებოდა

სამინისტროებს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს. ამ უწყებებს შორის ჭარბობდნენ საგანმანათლებლო დაწესებულებები, აგრეთვე ახლად დაარსებული უწყებები, რომელთა ვებგვერდების შექმნა თუ მათზე საჯარო ინფორმაციის განთავსება ვერ იქნა უზრუნველყოფილი მონიტორინგის პერიოდისთვის.

	არ აქვს საკუთარი ვებგვერდი
1	საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიურო
2	ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო
3	საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი
4	ახალგორის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება
5	გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
6	ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო
7	პენიტენციური და პრობაციის სისტემის მომსახურეთა მომზადების ცენტრი
8	თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი

	არ აქვს ვებგვერდზე საჯარო ინფორმაციის განყოფილება
1	ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური
2	ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი
3	წამლის სააგენტო
4	ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა
5	საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი
6	შემოქმედებითი საქართველო

2019 წლის მაისის მდგომარეობით იმ საჯარო დაწესებულებათა ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის საშუალო მაჩვენებელი, რომლებსაც შესაბამისი დადგენილების მიხედვით ვებგვერდზე გამოქვეყნებული აქვთ საჯარო ინფორმაცია (სულ 85 საჯარო დაწესებულება), შეადგენს 53%-ს. შესაბამისად, მოცემული უწყებები მათზე კანონით დაკისრებულ ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულებათა მხოლოდ ნახევარს ასრულებენ.

ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის არსებული მდგომარეობის სრულფასოვანი შესწავლის მიზნით, მნიშვნელოვანია მონიტორინგის შედეგების, საჯარო დაწესებულებათა სახეების და გამოქვეყნებული ინფორმაციის თემატური ჯგუფების მიხედვით ანალიზი.

ცენტრალური საჯარო დაწესებულებები

მონიტორინგის შედეგების მიხედვით, საქართველოს ცენტრალური საჯარო დაწესებულებების (პარლამენტის აპარატი, მთავრობის ადმინისტრაცია, სამინისტროები) საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მაჩვენებლები 39%-დან 98%-მდე მერყეობს. მათ შორის, ყველაზე მაღალი (98%) შედეგი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრომ მიიღო. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ სამინისტროს მიერ საჯარო ინფორმაციის განთავსებისას გათვალისწინებულია IDFI-ს მიერ ჯერ კიდევ 2014 წელს შემუშავებული რეკომენდაციები და უზრუნველყოფილია ზოგიერთი კატეგორიის მონაცემთა დეტალური გამოქვეყნება. მაგალითად, შრომის ანაზღაურების და სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაცია, სავალდებულოდ გამოსაქვეყნებელი ჯამური მონაცემების ნაცვლად წარმოდგენილია, თითოეულ თანამდებობის პირზე ცალ-ცალკე ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით. ავტოპარკის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია შეიცავს დამატებით ისეთ დეტალებს როგორიცაა: ავტომობილის გამოშვების წელი, შესყიდვის თარიღი, საბალანსო ღირებულება, ნარჩენი ღირებულება და სახელმწიფო ნომერი.

ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს შორის რიგით მეორე მაჩვენებელი (96%), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო. ეს უწყება ფინანსური ინფორმაციის გამოქვეყნებისას უმეტესწილად შემოიფარგლება მხოლოდ იმ ინფორმაციით, რომელიც აკმაყოფილებს მთავრობის დადგენილების მოთხოვნებს, თუმცა ამასთან დადგენილების მოთხოვნების მიღმა, აქვეყნებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან სტატისტიკურ მონაცემებს. გარდა ამისა შინაგან საქმეთა სამინისტრო წარმოადგენს ერთ-ერთ იშვიათ გამონაკლისს, რომელიც საჯარო ინფორმაციის გვერდზე დოკუმენტაციას აქვეყნებს როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენებზე.

საქართველოს პარლამენტის ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის მაჩვენებელმა შეადგინა 91%. ეს შედეგი, მიღებულია საქართველოს პარლამენტისათვის დამტკიცებული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ნუსხის მიხედვით, სადაც დამატებით, სავალდებულო გამოსაქვეყნებლად განსაზღვრულია მათ საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს შორის ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების თვალსაზრისით, ერთ-ერთ მოწინავე პოზიციას იკავებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. მისი მაჩვენებელი 89%-ს შეადგენს. ამასთან, მთელი რიგი პუნქტების (შრომის ანაზღაურების ხარჯები, ბალანსზე რიცხული უძრავი ქონება და სხვ.) შემთხვევაში ფინანსური ინფორმაცია განთავსებულია კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით. სამწუხაროდ, ამ სამინისტროს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა შემოიფარგლება მხოლოდ მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ინფორმაციის ვებგვერდზე გამოქვეყნებით. აღსანიშნავია, რომ იუსტიციის სამინისტრო ბოლო წლებში გამოირჩეოდა საჯარო ინფორმაციის

მოთხოვნის შესახებ განცხადებათა საფუძველზე ინფორმაციის გაცემის განსაკუთრებით დაბალი მაჩვენებლით. შედეგად, IDFI-ს მიერ ბოლო 3 წლის განმავლობაში იუსტიციის სამინისტროს სისტემა ორჯერ დასახელდა ყველაზე დახურულ უწყებად საქართველოში.

საქართველოს ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს შორის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (39%) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ მიიღო. სამწუხაროდ, ადმინისტრაციას 2014 წლის შემდეგ სახელმწიფო შესყიდვებთან და ფინანსებთან დაკავშირებული ინფორმაცია საერთოდ აღარ გამოუქვეყნებია. IDFI-ს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ახალი ხელმძღვანელობის პირობებში, განემარტა რომ ვებგვერდზე მიმდინარეობდა შესაბამისი განახლების სამუშაოები, წლების განმავლობაში ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების შეფერხებული პროცესის აღდგენის მიზნით.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ვებგვერდზე 2014 წლის შემდეგ ფინანსური ინფორმაცია აღარ განახლებულა. ამ ეტაპზე ვებგვერდზე მიმდინარეობს განახლების სამუშაოები შესაბამისი ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების მიზნით.

ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს შორის, მთავრობის ადმინისტრაციის შემდეგ, ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების ყველაზე დაბალი მაჩვენებლები აქვთ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (42%) და საგარეო საქმეთა სამინისტროს (47%). გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაბალი მაჩვენებელი სავარაუდოდ უკავშირდება 2018 წელს ამ უწყებაში განხორციელებულ სტრუქტურულ ცვლილებებს, რომლის შედეგად გაერთიანდა სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროები. შედეგად, შეიქმნა ახალი ვებგვერდი, სადაც მონიტორინგის პერიოდში არ იყო განთავსებული შესაბამისი ფინანსური თუ სხვა სახის ინფორმაცია.

დანარჩენი ცენტრალური საჯარო დაწესებულებების მაჩვენებლები 66%-დან 87%-მდე მერყეობს. მათ უმეტესწილად 2018 წლამდე სხვადასხვა პერიოდში შეწყვეტილი სხვადასხვა კატეგორიის ფინანსური მონაცემების გამოქვეყნება. მაგალითად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2016 წლის შემდეგ არ გამოუქვეყნებია ინფორმაცია ბალანსზე რიცხული ავტომობილების და უძრავი ქონების, საწვავის ხარჯის, ავტომობილების ტექნიკური მომსახურების, სატელეკომუნიკაციო ხარჯების და მიღებული გრანტების შესახებ.

ფინანსთა სამინისტროს 2017 წლის შემდეგ არ გამოუქვეყნებია ინფორმაცია დაგეგმილი და განხორციელებული შესყიდვების, 2016 წლის შემდეგ - სარეკლამო ხარჯების, ხოლო 2014 წლის შემდეგ - სახელმწიფო ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ. ჯანდაცვის სამინისტროს 2015 წლის შემდეგ არ განუახლებია ინფორმაცია რეკლამაზე გაწეული ხარჯების შესახებ.

5.5. ინფორმაცია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აპარატის ბალანსზე რიცხული ა/მანქანების შესახებ (2013წ, 2014წ. 2015წ. მდგომარეობით) **5.6.** ინფორმაცია საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯის შესახებ - (2016) (წლიური ჯამურად) **5.7.** ინფორმაცია ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ - 2016 წელი (წლიური ჯამურად) **5.8.** ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების (შენობა-ნაგებობა) ჩამონათვალი (2013, 2014, 2015 წელი) მდგომარეობით) **5.9.** ინფორმაცია სატელეფონო საუბრებზე (საერთაშორისო და ადგილობრივი ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯები - (2016 წელი) (წლიური ჯამურად) **5.10.** ინფორმაცია უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები, კრედიტები) შესახებ – 2016 წელი
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებგვერდზე 2016 წლის შემდეგ გამოსაქვეყნებელი ფინანსური ინფორმაცია.



მონიტორინგის ფარგლებში შეფასდა ასევე საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების პრაქტიკა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესი დამტკიცდა, 2013 წლის 2 სექტემბრის N692 ბრძანებულებით, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი სტანდარტის შეკვეცილ და მნიშვნელოვნად სახეცვლილ ვერსიას წარმოადგენს. საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ ნუსხაში თავმოყრილია 35 სახის ინფორმაცია, პრეზიდენტის ადმინისტრაციის შემთხვევაში კი - 18. მაგალითად, პრეზიდენტის ადმინისტრაციას არ

ეკისრება ისეთი ინფორმაციის გამოქვეყნება როგორიცაა: ადმინისტრაციის წლიური ანგარიში, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები, ვაკანსიები და კონკურსის შედეგები, რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯები და სხვა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ვებგვერდზე სავალდებულოდ განსაზღვრული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის უმრავლესობა მონიტორინგის პერიოდში სრულყოფილად იყო გამოქვეყნებული. თუმცა, შეკვეცილი ნუსხის პირობებში, პრეზიდენტის ადმინისტრაციის სხვა უწყებებთან შედარება მას უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენებდა, შესაბამისად მისი მაჩვენებელი არ არის შესული უწყებათა საერთო რეიტინგში.

სამინისტროებს დაქვემდებარებული უწყებები

საჯარო დაწესებულებებში ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების დაბალი საშუალო მაჩვენებელი (53%), უმეტესწილად განპირობებულია სამინისტროებს დაქვემდებარებული უწყებების მიერ საკუთარ ვებგვერდზე მწირი ინფორმაციის გამოქვეყნებით. კერძოდ, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების ინფორმაციის გამოქვეყნების საშუალო მაჩვენებელი შეადგენს 47%-ს, მაშინ როდესაც მათი ზემდგომი სამინისტროების საშუალო მაჩვენებელი 76%-ია.



სამინისტროთა დაქვემდებარებაში შემავალ უწყებათა საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების საშუალო მაჩვენებლები 16%-დან 73% -მდე მერყეობს. ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებელი იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალმა უწყებებმა (სულ 12)

აჩვენეს - 72,9%, ყველაზე დაბალი კი საგარეო საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებულმა უწყებებმა (სულ 2) - 16,5%.



სამინისტროებს დაქვემდებარებული უწყებების დაახლოებით 40%-ს, პროაქტიულად სავალდებულოდ გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის 30%-ზე ნაკლები ჰქონდა გამოქვეყნებული. საჯარო სამართლის იურიდიული პირები ვებგვერდზე უმეტესწილად ათავსებენ მხოლოდ უწყების შესახებ ზოგადი ხასიათის ცნობებს, რაც არ პასუხობს პროაქტიული გამჭვირვალობის პრინციპებს. საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების 30%-ზე დაბალი მაჩვენებლები აქვთ ისეთ მაღალი საზოგადოებრივი მნიშვნელობის და შემოსავლების მქონე საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს როგორებიც არიან: სურსათის ეროვნული სააგენტო - 28%, სსიპ 112 – 27%, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური - 25%, შსს მომსახურების სააგენტო - 21%,

მუნიციპალური განვითარების ფონდი - 19%, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო 13% და სხვა.

ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების პრაქტიკა

საქართველოს მთავრობის დადგენილებით 35 პუნქტად ჩამოთვლილი საჯარო ინფორმაცია, მათი თემატიკის მიხედვით დაყოფილია 7 ჯგუფად:

1) ზოგადი ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ (6 პუნქტი);
2) საჯარო ინფორმაციის გვერდი (5 პუნქტი);
3) ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს საკადრო უზრუნველყოფის შესახებ (3პუნქტი);
4) ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების და სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ (4 პუნქტი);
5) ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს დაფინანსების და ხარჯთაღრიცხვის შესახებ (13 პუნქტი);
6) სამართლებრივი აქტები (2 პუნქტი);
7) სხვა საჯარო ინფორმაცია (2 პუნქტი).

მონიტორინგის შედეგების მიხედვით, საჯარო დაწესებულებებისათვის ყველაზე პრობლემური იმ თემატურ ჯგუფებში გაერთიანებული ინფორმაციის გამოქვეყნება იყო, რომლებიც უკავშირდებოდა ადმინისტრაციული ხარჯების განკარგვას. მაგალითად, დაფინანსების და ხარჯთაღრიცხვის თემატური ჯგუფის პროაქტიული ხელმისაწვდომობის საერთო მაჩვენებელი მხოლოდ 38%-ია, ხოლო სახელმწიფო შესყიდვების და ქონების პრივატიზების - 38,4%. ამ ჯგუფებში, გაერთიანებულ ცალკეული პუნქტების მიხედვით, ყველაზე პრობლემური საჯარო დაწესებულებების მიერ მიღებული (22,2%) და გაცემული (23%) გრანტების შესახებ ინფორმაციის განთავსება იყო. ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ასევე ისეთ ინფორმაციასთან დაკავშირებით, როგორიც არის: საბიუჯეტო ფონდებიდან მიღებული დაფინანსება - 24,4%, ქონების გასხვისება - 27,4%, რეკლამის ხარჯი - 34,1%, სატელეკომუნიკაციო ხარჯები - 38,5%, ბალანსზე რიცხული უძრავი ქონება - 39,3%, ტექნიკური მომსახურების ხარჯები - 39,7%, საწვავის ხარჯი - 40,1%.

საჯარო დაწესებულებისათვის 10 ყველაზე პრობლემურ ინფორმაციას შორის, ფინანსური მონაცემების გარდა, ასევე მოხვდა წლიური ანგარიშები, რომლის პროაქტიულად გამოქვეყნების საერთო მაჩვენებელი მხოლოდ 33,7%-ია. შესაბამისად, საჯარო დაწესებულებების უმრავლესობამ 2019 წლის მაისის მდგომარეობით ვერ უზრუნველყო 2018 წელს მათ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიშის ვებგვერდზე გამოქვეყნება.

საჯარო დაწესებულებები პროაქტიულად ყველაზე მეტად აქვეყნებენ სამართლებრივი აქტების და ზოგადი ინფორმაციის თემატურ ჯგუფებში გაერთანებულ ინფორმაციას, რომელიც ნაცვლად კვარტალური განახლებისა, ექვემდებარება გამოქვეყნებას მხოლოდ მასში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში.

მაგალითად, ყველაზე მაღალი მაჩვენებლებია საკონტაქტო ინფორმაციის (91,3%), დებულება/წესდების(89,3%), ნორმატიული აქტების (85,7%), უწყების სტრუქტურის (82,1%) ბლოკებში.




10 ყველაზე ხლმისაწვდომი ინფორმაცია
საკონტაქტო ინფორმაცია
91,30%
დებულება/წესდება
89,30%
ნორმატიული აქტები
85,70%
სტრუქტურა
82,10%
FOI ოციცრების შესახებ ინფორმაცია
76,20%
თანამდებობის პირების შესახებ ინფორმაცია
74,20%
საჯარო ინფორმაციაზე სამართლებრივი აქტები
73,00%
სერვისები
69,60%
დადგენილი ტარიფები
60,10%
საჩივრის ფორმა
57,50%


10 ყველაზე დახურული ინფორმაცია
საწვავის ხარჯი
40,10%
ტექ. მომსახურების ხარჯი
39,70%
ბალანსზე რიცხული უძრავი ქონება
39,30%
სატელეკომუნიკაციო ხარჯები
38,50%
რეკლამის ხარჯი
34,10%
წლიური ანგარიშები
33,70%
ქონების გასხვისება
27,40%
საბიუჯეტო ფონდებიდან მიღებული დაფინასება
24,40%
გაცემული გრანტები
23,00%
მიღებული გრანტები
22,20%

პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის ფორმატი და არქივი

მონიტორინგის ფარგლებში, IDFI-მ აგრეთვე შეისწავლა ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებასთან დაკავშირებული სხვა ისეთი საკითხები, რომელიც ეხება ინფორმაციის თემატურ განთავსებას, განთავსების დათარიღებას, გამოქვეყნებული დოკუმენტაციის ფორმატს და არქივს.

საქართველოს მთავრობის დადგენილებაში არსებული ჩანაწერის მიხედვით, დაწესებულება ვალდებულია საჯარო ინფორმაციის გვერდზე განათავსოს მხოლოდ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის მე–2 ნაწილში თავმოყრილი პუნქტები, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან. რაც შეეხება სხვა სახის ინფორმაციას, დადგენილება დაწესებულებას საშუალებას აძლევს საკუთარი შეხედულებისამებრ გადაანაწილოს ვებ–გვერდზე, რაც მომხმარებელს ურთულებს კონკრეტული საკითხისადმი ინფორმაციის მოძიებას. მონიტორინგის შედეგების მიხედვით, 85 საჯარო დაწესებულებიდან 53-ს ინფორმაცია სრულად წარმოდგენილი ჰქონდა საჯარო ინფორმაციის გვერდზე თემატურად.

საჯარო დაწესებულებები ეკისრებათ ვალდებულება ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას მიუთითონ მისი განთავსების თარიღი. აღნიშნული ვალდებულება შესწავლილი დაწესებულებებიდან მხოლოდ 20-ს ჰქონდა შესრულებული.

საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესი საჯარო დაწესებულებებს არ ზღუდავს მონაცემების გამოქვეყნების ფორმატთან დაკავშირებით. საერთაშორისო კარგი პრაქტიკის, გათვალისწინებით ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საჯარო ინფორმაციის ღია მონაცემების ფორმატში გამოქვეყნება. საქართველოს საჯარო დაწესებულებში მონიტორინგის პერიოდში არ დაფიქსირდა ღია მონაცემების CSV ან XML ფორმატში გამოქვეყნების პრაქტიკა, რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობდა საქართველოს ღია მონაცემების პორტალის DATA.GOV.GE-ს განვითარებას. ამასთან შესწავლილი დაწესებულებებიდან როგორც ფინანსური ასევე სხვა სახის ინფორმაციის გამოქვეყნებისთვის ძირითადად იყენებენ PDF ფაილებს. მხოლოდ, 31 საჯარო დაწესებულება ჰქონდა გამოქვეყნებულიExcel-ის ფორმატში გარკვეული ფინანსური ინფორმაცია.

ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით არ არის დარეგულირებული, მონაცემების ვებგვერდზე შენახვის/დაარქივების წესები. შესაბამისად, საჯარო დაწესებულების მიერ 2018 წლის მონაცემების გამოქვეყნების შემდეგ მას არ ეზღუდება ვებგვერდიდან 2017 ან წინა ნებისმიერი წლის პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის აღება. შესწავლილი საჯარო დაწესებულებებიდან 48 -ის ვებგვერდზე შენახული იყო განვლილი წლების მონაცემები. დანარჩენ შემთხვევაში ვებგვერდზე წარმოდგენილი იყო

მხოლოდ მიმდინარე წლის ფარგლებში გამოქვეყნებული და მონიტორინგის პერიოდისათვის მოქმედი ინფორმაცია.



ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების დინამიკა

საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მონიტორინგი IDFI-მ პირველად 2014 წელს განახორციელა და შეაფასა თუ რამდენად უზრუნველყოფდნენ საჯარო დაწესებულებები მათზე დაკისრებულ ვალდებულებას. მთავრობის დადგენილების ძალაში შესვლიდან დაახლოებით 1 წლის შემდეგ. 2019 წელს მონიტორინგი განხორციელდა იმავე მეთოდოლოგიით, რაც იძლევა 2014 და 2019 წლების შედარებითი ანალიზის საშუალებას. კვლევის შედეგების თანახმად 2014 წელს ჩატარებული მონიტორინგიდან 5 წლის შემდეგ, სჯარო დაწესებულებებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 18%-ით გაუარესდა.



საქართველოს ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს შორის, 2014 წელთან შედარებით ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი ყველაზე მეტად გააუმჯობესეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ (+39%) და საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ (+14%).

ამ მაჩვენებლის გაუარესების თვალსაზრისით გამორჩეულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია. 2014 წლის მონიტორინგის დროს მთავრობის ადმინისტრაციის მაჩვენებელი 100%-ს შეადგენდა, რაც 2019 წელს 61%-ით გაუარესდა. ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი ასევე, მნიშვნელოვნად არის გაუარესებული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შემთხვევაში (-30%).

აღსანიშნავის ის ფაქტი, რომ 2019 წელს, საქართველოს 13 ცენტრალური საჯარო დაწესებულებიდან უმეტესობამ (9 უწყება), 2014 წელთან შედარებით ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მაჩვენებელი მეტნაკლებად გააუარესა.


2014 წელთან შედარებით პროაქტიული ხელმისაწვდომობის %-ული მაჩვენებლის ცვლილება ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებში
შინაგან საქმეთა სამინისტრო
39%
თავდაცვის სამინისტრო
14%
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
8%
საქართველოს პარლამენტი
7%
განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო
-2%
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
-6%
ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
-7%
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
-7%
იუსტიციის სამინისტრო
-9%
ფინანსთა სამინისტრო
-11%
საგარეო საქმეთა სამინისტრო
-11%
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
-30%
მთავრობის ადმინისტრაცია
-61%

ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების თვალსაზრისით, 2019 წელს მნიშვნელოვანი უარყოფითი ტენდენციებია სამინისტროებს დაქვემდებარებულ უწყებებშიც. 2019 წელს განხორციელებული მონიტორინგის ობიექტი მსგავსი უწყებებიდან 55 აღმოჩნდა ისეთი, რომელსაც 2014 წელსაც ჩაუტარდა შესაბამისი მონიტორინგი. ამ 55 უწყებიდან 40 აღმოჩნდა ისეთი, რომელმაც 2019 წელს გააუარესა მაჩვენებელი , ხოლო 15 - რომელმაც გააუმჯობესა.

სამინისტროებს დაქვემდებარებულ უწყებებს შორის ინფორმაციის პროაქტიულად ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი ყველაზე მეტად, 28%-ით გააუმჯობესა იუსტიციის სასწავლო ცენტრმა. 16%-ით გააუმჯობესეს სოციალური მომსახურების სააგენტომ და საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ.

ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მაჩვენებლის გაურესების თვალსაზრისით გამორჩეულია სსიპ სმართ ლოჯიქი - (-60%), მასწავლებელთა და პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი (-58%), ფინანსთა სამინისტროს აკადემია (-56%), შემოსავლების სამსახური (-42%), გარემოს ეროვნული სააგენტო (-40%).

სსიპ სმართ ლოჯიქი 2014 წელს შეფასდა, მისი ზემდგომი იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე მათ შესახებ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით. 2019 წლის მონიტორინგის ფარგლებში მათ შექმნილი ჰქონდათ საკუთარი ვებგვერდი, სადაც არ იყო სათანადოდ უზრუნველყოფილი ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობა. იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე 2017 წლის შემდეგ (სავარაუდოდ სსიპ სმართ ლოჯიქის მიერ საკუთარი ვებ გვერდის შექმნის შემდეგ) მათი მონაცემები აღარ გამოქვეყნებულა, რამაც საბოლოოდ განაპირობა მაჩვენებლის მკვეთრი გაუარესება.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, ფინანსთა სამინისტროს აკადემიის, შემოსავლების სამსახურის და გარემოს ეროვნული სააგენტოს მაჩვენებლის მკვეთრი გაუარესება უმეტესწილად განაპირობა 2016-2017 წლების შემდეგ, ნებისმიერი სახის ფინანსური ხასიათის ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვანმა შეზღუდვამ.


სამინისტროებს დაქვემდებარებული უწყებები, რომლებმაც ყველაზე მეტად გააუმჯობესეს და გააუარესეს ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობა
იუსტიციის სასწავლო ცენტრი
28%
საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
16%
სოციალური მომსახურების სააგენტო
16%
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
8%
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური
8%
გარემოს ეროვნული სააგენტო
-40%
შემოსავლების სამსახური
-42%
ფინანსთა სამინისტროს აკადემია
-56%
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
-58%
სმართ ლოჯიქი
-60%

საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების კარგი პრაქტიკა და რეკომენდაციები

საჯარო დაწესებულებების ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მონიტორინგის შედეგებმა, ნათლად აჩვენა რომ მათი უმრავლესობა ვერ უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის მაღალი სტანდარტით გამოქვეყნებას. მეტიც, სავალდებულო პროაქტიული ინფორმაციის გამოქვეყნების საშუალო მაჩვენებელი მხოლოდ 53%-ია, რაც იმაზე მეტყველებს რომ საჯარო დაწესებულებები ხშირ შემთხვევაში იმ მინიმალურ ინფორმაციასაც არ აქვეყნებენ თანმიმდევრულად, რომელიც დააკმაყოფილებდა შესაბამისი დადგენილების მოთხოვნებს.

2013 წელს საქართველოში დანერგილი სახელმწიფო უწყებების გამჭვირვალობის სრულიად ახალი, პროაქტიული გამჭვირვალობის სტანდარტის მიმართ, საჯარო დაწესებულებების მხრიდან არსებული დამოკიდებულება მნიშვნელოვნად აზარალებს რეფორმის შემდეგი განვითარების პერსპექტივებს.

2018 წელს IDFI-ს მიერ ღია მმართველობა საქართველოს 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმისთვის საქართველოს მთავრობისთვის წარდგენილ რეკომენდაციებს შორის, ერთ-ერთი შეეხებოდა ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების არსებული სტანდარტის გაუმჯობესებას და რეფორმის მეორე ტალღის განხორციელებას. კერძოდ, IDFI-ს რეკომენდაცია ითვალისწინებდა პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის გაფართოებას, ინფორმაციის ღია მონაცემების ფორმატში გამოქვეყნების და ღია მონაცემთა პორტალზე - data.gov.ge განთავსების ვალდებულების აღებას. სამწუხაროდ, სამოქმედო გეგმის პროექტში IDFI-ს შეთავაზებული ეს ვალდებულებები არ იქნა ასახული.

მიუხედავად საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების თვალსაზრისით არსებული არასახარბიელო ფონისა, ცალკეული უწყებების შემთხვევაში ვხდებით კონკრეტული ინფორმაციის კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით განთავსების შემთხვევებს. მსგავსი პრაქტიკა მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას სხვა უწყებების მიერაც. გთავაზობთ კარგი პრაქტიკის მაგალითებს, პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი სხვადასხვა პუნქტების მიმართებით:

1) **ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად განცხადებების შესახებ ზოგადი სტატისტიკა**

საჯარო დაწესებულებებს, შესაბამისი დადგენილების მიხედვით ევალებათ მხოლოდ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით შესული განცხადებების შესახებ ზოგადი სტატისტიკის განთავსება. სასურველია საჯარო დაწესებულებებმა დამატებით უზრუნველყონ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებით შემოსული წერილების რეესტრის განთავსება მოთხოვნის თარიღის, გამომგზავნის, ადრესატის, შინაარსის და განხილვის

შედეგის მითითებით. მაგალითად, მსგავსი რეესტრი მონიტორინგის პერიოდში ხელმისაწვდომი იყო სსიპ საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებგვერდზე.

№	გამოშვების ნაგები	გამოთხოვილი სუბიექტი ინფორმაციის მიღების მიზანი	შეფასებული წერილის ნომერი და თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	ჩვენი რეგისტრაციის ნომერი	10 დღეების გადის შემდეგ გაგზავნილი წერილის თარიღი და ნომერი (საჭიროების შემთხვევაში)	გაგზავნილი წერილის (პასუხი) თარიღი და ნომერი
1	მონიტორინგ - ნინო მელიქიშვილი	სმენადობა საავტომობილო გზების პროექტებთან დაკავშირებული ინფორმაცია.	21/12/2018წ.	26403/2 12/12/2018წ. ახალი შემოიდა 27283/2 21/12/2018წ		N 2-07/162 09/01/2019
2	ლეგენ ჯობავის განცხადება	საავტომობილო მაგისტრალ - სამარე - ზეკერი, გზის მაგისტალების ველის და ხაკადატრი ნახაზი.		27/12/2018წ.	N 2-07/15276 27/12/2018	N 2-07/314 15/01/2019
3	ტატა ჯანკვეტაძის განცხადება	ხევი - ესტატი -ბორანი - ინგეფის ახალი სამგზავრო მიმაყვანის (P4) მაგისტალობის ექსპლუატაციის დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთის გამოყენების პროცედურებთან	15/01/2019	689/2 15/01/2019	N 2-07/338 16/01/2019	N 2-07/777 29/01/2019
4	ოჯახგულიები	„აკორდ"-ის გაფორმებული მიღეთი-ბეზოიღეთის გზის მიმაყვანის (კმ 24+620 – კმ 30+244) და სამტრედია-ჭიათურის გზის მიმაყვანის ღობი 1-ზე (კმ 0+000 - დან კმ 11+500) გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულება	11/01/2019წ.	528/2 11/01/2019	N 2-07/323 15/01/2019	N 2-07/380 16/01/2019

2) ინფორმაცია სახელმწიფო ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ

ინფორმაცია სახელმწიფო ქონების გასხვისების და სარგებლობაში გადაცემის შესახებ უნდა განთავსდეს ქონების მიმღების, გადაცემული ქონების ჩამონათვალის და მისი საბალანსო ღირებულების მითითებით. მსგავსი პრაქტიკით ინფორმაცია გამოქვეყნებული იყო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე.

ინფორმაცია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო**-ს მიერ სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონების შესახებ01.01.2019წ. მდგომარეობით**

ლარებში

ქონების დასახელება	**რაოდენობა** (შესაბამის ერთეულში)	**ნარჩენი ღირებულება**	**ვის გადაეცა**
აირგამათბობელი აგ–2	2	486.62	სსიპ ,,საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო"-ს.
გაზის გამათბობელი	1	41.7	
რკინის სეიფი	1	210.62	
ცეცხლგამძლე სეიფი	1	586.09	
კონდიციონერი ბკ2500	1	20	
აირგამათბობელი კომფორტი	2	89.76	
გენერატორი,,ჰონდა"	1	487.82	
კონდიციონერი	1	0	
გამათბობელი ბტ–3	3	729.93	
სულ	13	2652.54	

3) რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯები

მნიშვნელოვანია საჯარო დაწესებულებები რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯების შესახებ პროაქტიულად აქვეყნებდნენ ინფორმაციას რეკლამის განთავსების ადგილის, სახის და საფასურის შესახებ. მაგალითად, მსგავსი პრაქტიკით ინფორმაცია ხელმისაწვდომია იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების, მათ შორის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე.

მიმწოდებელი	შესყიდვის ობიექტი	ხელშეკრულების ღირებულება	გადარიცხული თანხა	დაფინანსების წყარო	შენიშვნა
შპს დი დი ბი ჯორჯია	სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ერთობლივი სახელმწიფო შესყიდვა	24 148,33	2 450,00	საკუთარი შემოსავლები	
შპს რეგიონმედიამარკეტი	გრაფიკული ვიდეორგოლის დამზადების და რეგიონალურ რადიო და ტელემაუწყებლებში განთავსების მომსახურების შესყიდვა	10 680,00	10 680,00	GIZ-ის გრანტი	
შ.პ.ს "ტვ ინტერწეიშეწელი"	ვიდეო-რგოლის დამზადება	10 499,00	0,00	საკუთარი შემოსავლები	
სულ:		**24 148,33**	**13 130,00**		

Page 1

4) ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების შესახებ

თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების შესახებ ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების კარგი პრაქტიკა ითვალისწინებს, თანამდებობრივი სარგოების, სახელფასო დანამატების და პრემიების შესახებ ინფორმაციის თანამდებობის პირებზე ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით, ხოლო სხვა თანამშრომლებზე ჯამური სახით განთავსებას. ამ ფორმით ვებგვერდზე ინფორმაცია გამოქვეყნებულია მაგალითად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ვებგვერდზე.

	თანამდებობა	სახელი გვარი	2019 წელი I კვარტალი								
			იანვარი			თებერვალი			მარტი		
			თანამდებობრივი სარგო	დანამატი	ჯრეგია	თანამდებობრივი სარგო	დანამატი	ჯრეგია	თანამდებობრივი სარგო	დანამატი	ჯრეგია
1	მინისტრი	ლევან იზორია	6 250,00			6 250,00			6 250,00		
2	მინისტრის პირველი მოადგილე	ლელა ჩიქოვანი	7 600,00	1 000,00		7 600,00	1 000,00		7 600,00	1 000,00	
3	მინისტრის მოადგილე	წუკრი გელაშვილი	7 500,00	1 000,00		7 500,00	1 000,00		7 500,00	1 000,00	
4	მინისტრის მოადგილე	ზაალ კაპანაძე	7 500,00	1 000,00		7 500,00	1 000,00		7 500,00	1 000,00	
5	მინისტრის მოადგილე	გიორგი ბუთხუზი	7 500,00	1 000,00		7 500,00	1 000,00		7 500,00	1 000,00	
6	ადმინისტრაციის უფროსი	ვახტანგ მელაძე	5 600,00			5 600,00			5 600,00		
7	ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე	ნათია ჯალიაშვილი	3 200,00			3 200,00			3 200,00		
8	საჯარო ინფორმაციის სამმართველოს უფროსი	ზაზა ზაკალაშვილი	3 500,00			3 500,00			3 500,00		

5) ინფორმაცია ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ

სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაცია, თანამდებობის პირების შემთხვევაში მნიშვნელოვანია ქვეყნდებოდეს ცალ-ცალკე სახელის და გვარის, მივლინების თარიღის, მიზნის, ქვეყნის და შესაბამისი ხარჯების მითითებით (სასტუმრო, მგზავრობა, დღიური და სხვა). სხვა თანამშრომლების შემთხვევაში კი ინფორმაცია უნდა ქვეყნდებოდეს მხოლოდ დაჯამებული სახით. მსგავსი მონაცემები ხელმისაწვდომია მაგალითად, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ვებგვერდზე.

დასახელება	თანამდებობა	დღიური	დღიური ხარჯის	დღიური ხარჯის	დღიური ხარჯის	სასტუმროს ხარჯი	მგზავრობის ხარჯი	სხვა ხარჯი	საკასო	კომენტარი	დანიშნულების პუნქტი
ირინა აბულაძე	მინისტრის მოადგილე	646,44		452,51		4678,97		535,59	5647,46	მივლინება ქვეყნის გარეთ	დიდი ბრიტანეთი, ქ. ლონდონ
ვასილ ლიპარტელიანი	სამმართველოს უფროსი (II სტრუქ	194,87	58,46						253,33	მივლინება ქვეყნის გარეთ	ბულგარეთი, ქ. სოფია
ვაჟა შატბერამვილი	სამმართველოს უფროსი (II სტრუქ	465,25				1395,75	950		2811	მივლინება ქვეყნის გარეთ	დიდი ბრიტანეთი, ქ. ლონდონ
ირინე წერომე	დეპარტამენტის უფროსი	367,32	82,65			2754,88	1064,1	528,17	3101,75	მივლინება ქვეყნის გარეთ	დიდი ბრიტანეთი, ქ. ლონდონ
შალვა გოგოლაძე	მინისტრის მოადგილე			260,67					260,67	მივლინება ქვეყნის გარეთ	ბელარუსი.ქ. მინსკი
ნათია კუკულაძე	დეპარტამენტის უფროსი	511,58				915,46	863		2290,04	მივლინება ქვეყნის გარეთ	გერმანია ქ.ბერლინი
თამარ ესაკია სალიბეგაშ	სამმართველოს უფროსი (II სტრუქ	678,94				1366,81	1203		3248,75	მივლინება ქვეყნის გარეთ	გერმანია ქ.ბერლინი
მიხეილ ბატიაშვილი	მინისტრი	511,58			409,26	502,61	720,6		2144,05	მივლინება ქვეყნის გარეთ	გერმანია ქ.ბერლინი
მიხეილ გიორგაძე	მინისტრის პირველი მოადგილე	844,09		590,86			1433,3		2868,25	მივლინება ქვეყნის გარეთ	საფრანგეთი ქ.არლი
ვაჟა შატბერამვილი	სამმართველოს უფროსი (II სტრუქ	343,85				995,34			1339,19	მივლინება ქვეყნის გარეთ	ბელგია ქ.ბრიუსელი
მარიამ ჩიქობავა	სამმართველოს უფროსი (II სტრუქ	184,74	83,13						267,87	მივლინება ქვეყნის გარეთ	დიდი ბრიტანეთი ქ.ლიელსი

6) ბალანსზე რიცხული ავტომობილების ჩამონათვალი მოდელის მითითებით

ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესახებ ინფორმაცია ვებგვერდზე სასურველია განთავსდეს ავტომობილის მოდელის, გამოშვების წელის, შესყიდვის თარიღის, ფასის და ნარჩენი ღირებულების მითითებით. მსგავსი დეტალები ხელმისაწვდომია განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ვებგვერდზე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს აპარატი (განათლების სფერო)

ავტომანქანები 31.12.2018 წლის მდგომარეობით

N	გამოშვების წელი	ექსპლუატაციაში შესვლის წელი	ა/მანქანის სახ.N	დასახელება	რაოდენობა	საწყისი საბალანსო ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნარჩენი ღირებულება 01.01.2019წ.
								განათლების სფერო
1	1995	2002	სახ# BQ 940 QB (სატვირთო)	სატვირთო ავტომანქანა "Micubishi"	1	117228	8500,00	7548,00
2	2010	2010	სახ.# SFS 292 (მსუბუქი)	ავტომობილი RENAULT SYMBOL	1	19705,00	5500,00	4884,00
3	2010	2010	სახ.# SFS 252 (მსუბუქი)	ავტომობილი RENAULT SYMBOL	1	19705,00	5500,00	4884,00
4	2011	2011	სახ.#IML 438 (მსუბუქი)	ა/მანქანა კია სერატო	1	27999,00	12000,00	10656,00

კარგი პრაქტიკა ითვალისწინებს მაქსიმალურად დეტალური ინფორმაციის გამოქვეყნებას ისეთ ფინანსურ მონაცემებზე როგორიცაა საწვავის მოხმარების ხარჯები, ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების ხარჯები, სატელეფონო საუბრებზე გაწეული ხარჯები.

პროაქტიულად სავალდებულოდ გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის გარდა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი ადმინისტრაციული ორგანოების ფინანსური გამჭირვალობა და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სხვა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ვებგვერდზე უნდა განთავსდეს ყველა ის ფინანსური თუ სხვა საჯარო დოკუმენტი, რომლზეც არსებობს საზოგადოებრივი ინტერესი. მაგალითად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გვერდზე დამატებით გამოქვეყნებულია მათ საქმიანობასთან დაკავშირებული მაღალი ინტერესის მქონე სტატისტიკური მონაცემები, სამინისტროს მიერ აღრიცხული მონაცემთა ბაზები და სხვა.

საჯარო დაწესებულებებში ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სასურველია საჯარო დაწესებულებებმა გაითვალისწინონ ის ძირითადი რეკომენდაციები, რომლის შესახებ ვალდებულებების აღება 2018 წელს ვერ მოხერხდა ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში:

- საჯარო დაწესებულებები არ უნდა შემოიფარგლონ შესაბამისი დადგენილებით გათვალისწინებული მინიმალური ინფორმაციის გამოქვეყნებით და თითოეული პუნქტის მიხედვით ინფორმაციას უნდა აქვეყნებდნენ დეტალური სახით (მაგ. თანამდებობის პირთა სახელებისა და გვარების მითითებით);

- ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების არსებული სტანდარტის გაუმჯობესების მიზნით უნდა გაფართოვდეს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა. მათ შორის სავალდებულოდ განისაზღვროს ყველა იმ ინფორმაციის გამოქვეყნება, რომელის შესახებაც ინფორმაციის მოთხოვნით წლის განმავლობაში საჯარო დაწესებულებას მიმართა 3 და მეტმა განმცხადებელმა;

- საჯარო დაწესებულებებმა უნდა დანერგონ საჯარო ინფორმაციის ღია მონაცემების ფორმატში გამოქვეყნებისა და მათი ღია მონაცემების პორტალზე data.gov.ge-ზე განთავსების პრაქტიკა.

საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების რეიტინგი (2019 წლის მაისის მონიტორინგის შედეგები)		
N	საჯარო დაწესებულება	შედეგი
1	განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო	98%
2	საფინანსო-ანალიტიკური სამსახური	98%
3	შინაგან საქმეთა სამინისტრო	96%
4	სახაზინო სამსახური	95%
5	ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	94%
6	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	93%
7	საქართველოს პარლამენტი	91%
8	მონაცემთა გაცვლის სააგენტო	90%
9	იუსტიციის სამინისტრო	89%
10	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	88%
11	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	87%
12	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	86%
13	სოციალური მომსახურების სააგენტო	84%
14	თავდაცვის სამინისტრო	84%
15	ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი	84%
16	საავტომობილო გზების დეპარტამენტი	83%
17	აღსრულების ეროვნული ბიურო	83%
18	საქართველოს ეროვნული არქივი	81%
19	პრობაციის ეროვნული სააგენტო	80%
20	საქართველოს ნოტარიუსთა პალატა	79%
21	საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	76%
22	ფინანსთა სამინისტრო	75%
23	საქართველოს საკანონმდებლო მაცნე	74%
24	განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა	72%
25	შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი	72%
26	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	71%
27	საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი	70%
28	საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი.	69%
29	შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი	68%
30	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო	67%
31	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	66%
32	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	66%
33	იუსტიციის სახლი	65%
34	განათლების საერთაშორისო ცენტრი	64%
35	დანაშაულის პრევენციისა და ინოვაციური პროგრამების ცენტრი	62%
36	სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო	60%

37	ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი	58%
38	საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური	56%
39	დაცვის პოლიცია	54%
40	ღვინის ეროვნული სააგენტო	53%
41	სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო	53%
42	სამოქალაქო ავიაციის სააგენტო	53%
43	წიაღის ეროვნული სააგენტო	51%
44	შსს აკადემია	51%
45	დაცული ტერიტორიების სააგენტო	48%
46	საგარეო საქმეთა სამინისტრო	47%
47	საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია	44%
48	ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი;	43%
49	გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	43%
50	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	42%
51	საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური	41%
52	შემოსავლების სამსახური	40%
53	საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო	40%
54	მთავრობის ადმინისტრაცია	39%
55	ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი	37%
56	ფინანსთა სამინისტროს აკადემია	34%
57	სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო	33%
58	მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	32%
59	საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო	31%
60	ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო	31%
61	საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო	30%
62	სურსათის ეროვნული სააგენტო	28%
63	სმართ ლოჯიქი“ (SMART LOGIC);	27%
64	სსიპ 112	27%
65	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური	25%
66	აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი	25%
67	სსიპ აწარმოე საქართველოში	25%
68	ეროვნული სატყეო სააგენტო	22%
69	მომსახურების სააგენტო	21%
70	სასაზღვრო პოლიცია	21%
71	ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი	20%
72	გარემოს ეროვნული სააგენტო	20%
73	საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო	20%
74	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	19%
75	სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	19%
76	კიბერ უსაფრთხოების ბიურო	19%
77	ეროვნული თავდაცვის აკადემია	18%
78	ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო	17%
79	სასოფლო-სამეურნო კოოპერატივების განვითარების სააგენტო	16%

80	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია	16%
81	სსიპ - საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ	13%
82	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო	13%
83	სსიპ დელტა	12%
84	ეროვნული საშენი მეურნეობა	11%
85	შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური	7%
არ აქვს ვებ-გვერდზე საჯარო ინფორმაციის განყოფილება		
1	ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური.	
2	ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი	
3	წამლის სააგენტო	
4	ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა	
5	საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი	
6	შემოქმედებითი საქართველო	
არ აქვს საკუთარი ვებგვერდი		
1	საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიურო	
2	ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო	
3	საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი	
4	ახალგორის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება	
5	გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	
6	ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო	
7	პენიტენციური და პრობაციის სისტემის მომსახურეთა მომზადების ცენტრი	
8	თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი	

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

ა. გრიბოედოვის ქ. №3 • თბილისი 0108 • საქართველო

ტელ: + 995 32 2 92 15 14 • ელ-ფოსტა: info@idfi.ge

WWW.IDFI.GE